საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დივიდენდი

დივიდენდი (ლათ. dividendum – გასაყოფი), განაწილებას დაქვემდებარებული შემოსავალი, რომელსაც იღებს კაპიტალის მესაკუთრე სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებიდან საკუთარი კაპიტალის ინვესტირებული წილის პროპორციულად კაპიტალის კლასის მიხედვით.

სააქციო საზ-ბაში ჩვეულებრივი აქციებიდან მიღებული დ-ის ოდენობა დამოკიდებულია საზ-ბის წმინდა მოგებაზე. პრივილეგირებულ აქციებზე დ., აქციის ნომინალური ღირებულებიდან გამომდინარე, წინასწარ დადგენილი პროცენტის მიხედვით გაიცემა.

გავრცელებულია დ-ის გადახდის რამდენიმე ფორმა: ნაღდი ანგარიშსწორება; ანგარიშსწორება აქციებით, ოფციონით და მატერ. ღირებულებით. დ-ების გადახდის წესი და პერიოდულობა შეიძლება განსხვავებული იყოს ქვეყნებისა და კომპანიების მიხედვით. დ-ების მოცულობა განისაზღვრება პარტნიორების წილის შესაბამისად.

საქართველოში არსებული საბჭ. წყობის პირობებში (1921–90) კონკურენტული საბაზრო ურთიერთობები არ არსებობდა, ცხადია, დ-იც არ გაიცემოდა. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, საწარმოთა პრივატიზებისას, ჩამოყალიბდა სხვადასხვა იურიდ. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, რ-ებიც თავიანთი მოგების გარკვეულ ნაწილს დ-ის სახით გასცემენ.

ლ. ქუმბურიძე